სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

51 ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
0102 თბილისი, საქართველო
1505
info@ssa.gov.ge

10 სექტემბერი 2024

SSA 0 24 00956335

მოქალაქე სალომე კაპანაძეს (პირადი N54501063719)

ქალბატონო სალომე,

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში განხილულ იქნა თქვენი მიმდინარე წლის 04 სექტემბრის N934090 განცხადება საჯარო ინფორმაციის გადაგზავნის თაობაზე, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხების შესახებ (მათ შორის: „საარსებო შემწეობის“ მიმღები ბენეფიციარების შესახებ) ყოველთვიურად განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის (თითოეული მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონის ჭრილში) მიღება შესაძლებელია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (მისამართი: https://ssa.moh.gov.ge, ჩანართი: “სტატისტიკა”).

დამატებით გაცნობებთ, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია აღნიშნული ჩანართის მე-6 თავში, ხოლო, „საარსებო შემწეობის“ მიმღებ ბენეფიციართა (ოჯახი, პირი) და გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სტატისტიკის ჩანართის მე-7 თავში, სადაც 2008 წლიდან (თვეების მიხედვით), წარმოდგენილია ფულადი სოციალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დეპარტამენტის უფროსი
თამარ ცხვიტარია